



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაჰომეტოვი ალექსანდრე ამარის ძე



ა. მაჰომეტოვი

მაჰომეტოვი ალექსანდრე ამარის ძე (12. VI. 1917, აული კუბაჩი, დაღესტანი, - 17. VI. 2004, თბილისი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1965). დაღესტნის რესპ. (რფ) და საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე. 1940 დაამთავრა საქართვე. კიროვის სახ. ინდუსტრიული ინ-ტი (ახლანდ. სტუ). 1940-44 მუშაობდა ვორონეჟისა და მოსკოვის საავიაციო ქ-ნებში ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე; 1944-იდან - თბილ. სახელმწ. მატერ. რეზერვის სამმართველოში. 1948 დაამთავრა საქართვე. მეცნ. აკად. ენის ინ-ტის ასპირანტურა კავკ. ენების სპეციალობით. ამავე წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ენათმეცნ. (ყოფ. ენის) ინ-ტში თანამშრომლად. მ. ავტორია ოთხი ფუნდამენტური მონოგრაფიისა, რ-ებშიც რამდენიმე დაღ.

ენის სრული აღწერითი ანალიზია მოცემული: „კუბაჩური ენა“ (1963), „თაბასარანული ენა“ (1965), „ალუღური ენა“ (1970) და „დარგული ენის მეჭებური დიალექტი“ (1982). მონაწილეობდა ევროპის კავკასიოლოგთა საბ-ბის მიერ ჩატარებულ კოლოკვიუმებში პარიზში (1988), ლონდონსა (1990) და მარბურგში (1994). მნიშვნელოვანია მ-ის ღვაწლი მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტ. საქმეში. მან დიდი შრომა გასწია XIX ს. გამოჩენილი რუსი კავკასიოლოგის, ს. უსლარის დაუმთავრებელი ნაშრომის - „კავკასიის ეთნოგრაფია. ენათმეცნიერება. VII. თაბასარანული ენა“ - აღმოჩენისა და გამოცემისათვის. სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინ-ტის თხოვნით მუშაობდა ბიბლიის თარგმანზე დარგული ენის კუბაჩურ დიალექტზე. მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. მედალი.

თბ.: Кубачинский язык, Тб.,1963; Табасаранский язык, Тб., 1965; Агульский язык: Исследование и тексты, Тб., 1970; Исследователь дагестанских языков, Махачкала, 1979; Мегебский диалект даргинского языка: Исследование и тексты, Тб., 1982.

ლიტ.: ალექსანდრე მაჰომეტოვი, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 2009, ტ. 37.

ს. მეტრეველი
